

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია "კრისტალი" აცხადებს ვაკანსიას პოზიციაზე - **ბუღალტერი**

სამუშაო ადგილი: **თბილისი, სათავო ოფისი**

განაკვეთი: **სრული**

„კრისტალი“ ქართულ ფინანსურ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც უკვე 23 წელია წარმატებით ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და 50-მდე ფილიალის მეშვეობით მომხმარებელს მათზე მორგებულ ფინანსურ სერვისებს აწვდის. კომპანიას თავისი საქმიანობის მანძილზე მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი აღიარება აქვს მოპოვებული სოციალური პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით.

კრისტალის დიდი გუნდი აერთიანებს 1000 ზე მეტ ადამიანს, რომლებიც ქმნიან საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ კორპორატიულ კულტურას, რაც ნათლად გამოიხატება განვითარებაზე ორიენტირებულობაში, მეგობრული გარემოს შექმნაში, თანამშრომლებზე ზრუნვაში, გუნდურობასა და ერთმანეთის მხარდაჭერაში. სწორედ ასეთი გარემო და კოლექტიური ურთიერთობები განაპირობებს იმას, რომ თანამშრომელთა დიდი ნაწილი უკვე მრავალი წელია კომპანიაში დასაქმებული, რაც ნათლად აისახება კომპანიის სიძლიერეზე, სტაბილურობასა და წარმატებაზე.

„კრისტალი“ გთავაზობთ:

- პიროვნულ და პროფესიულ ზრდას
- მეგობრულ და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს
- ჯანმრთელობის დაზღვევას
- დისტანციურად მუშაობის შესაძლებლობას

ძირითადი მოვალეობები:

- კომპანიაში განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა;
- მიღებული კრედიტების აღრიცხვა, გრაფიკების მიხედვით დაფარვების შესრულება და კონტროლი, გადასახდელი პროცენტების კონტროლი და შედარება გამსესხებლის მონაცემებთან;
- თანამშრომლებზე სამივლინებო თანხების გაცემა/აღრიცხვა, ჩამოწერა და დოკუმენტაციის წარმოდგენის კონტროლი;
- თანამშრომლების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულება;
- დასაბეგრო ოპერაციების განსაზღვრა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორება;
- ფინანსური უწყისების მომზადება შიდა და გარე მომხმარებლებისთვის;
- საგადასახადო დეკლარაციების მომზადება;
- ლიზინგის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა;
- ლიზინგით გაცემული აქტივების საიჯარო გადახდების ასახვა კომპანიის საოპერაციო სისტემებში;

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

- ადგილობრივ ბანკებთან ურთიერთობა.

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება საბუღალტრო, ეკონომიკური ან ფინანსური განხრით
- ბუღალტრად მუშაობის გამოცდილება (სასურველია ანალოგიურ სფეროში)
- Excel- ის მაღალ დონეზე ცოდნა
- საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა
- ACCA-ს სერთიფიკატები (F1, F2, F3, F4, F5, F6), სასურველია
- ინგლისური ენის ცოდნა, სასურველია
- უპირატესობა მიენიჭება IFRS 9 და IFRS 16 - ის ცოდნას
- Azry - ის და Oris- ის საბუღალტრო პროგრამებში მუშაობის გამოცდილება

აუცილებელი უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები:

- დაკვირვებულობა და დეტალებზე ორიენტირებულობა
- პასუხისმგებლობის გრძნობა და პრინციპულობა
- ლოგიკური აზროვნების უნარი
- საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი
- სტრესული სიტუაციების გამკლავების უნარი
- სწრაფი ადაპტაციის უნარი
- გუნდურად მუშაობის უნარი

თუ თვლი, რომ ჩვენი კომპანიის ღირებულებები და ვაკანსიის მოთხოვნები თანხვედრაშია შენს ინტერესებსა და კომპეტენციებთან, გამოგვიგზავნე რეზიუმე 2021 წლის **25 ივლისის ჩათვლით** ელ. მისამართზე: vacancy@crystal.ge. სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება (**წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განაცხადი არ განიხილება**).

დაფიქსირებული განაცხადების განხილვის შედეგად შერჩეული კანდიდატები იქნებიან გამოძახებული შემდგომ ეტაპზე ვაკანსიის დასრულებიდან მაქსიმუმ 3 კვირის ვადაში.

ჩვენი კომპანია დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის თანაბარ პირობებს უქმნის ნებისმიერ თანამშრომელსა და კანდიდატს, მისი რასის, რელიგიის, მრწამსის, სქესის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობების, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.